კვირა, 17 ივნისი 1907 წ.

43

გაზეთ «ისარი»-ს გამოწერა შეიძლება ყოველ თვის პირველ რიცხვიდან.

განცხადების ფასი: ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე პეტიტით ღირს 15 კაპ. უკანასკ.—10 კ.

ხელის მოწ რა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება «ისარი»-ს რედაქციასა და კანტორაში ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, დილის 9 საათიდან ნაშუადღევის 4 საათამდე და საღამოს 5-დან 7-მდე.

რედაქციისა და კანტორის ადრესი: ელისაბედ. ქ. № 1.

# ისარი

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

წელიწადი პირველი—№ 130

ხელმოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება. დაუბეჭდავ მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს. ინახება ერთის თვით მხოლოდ დიდი წერილები და მოთხრობები. წერილობით პასუხისთვის საჭიროა საფოსტო მარკები. პირადად მოლაპარაკება შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეებს გარდა, დილის 11-დან ნაშუადღევის 3 საათამდე.

თითო ნომერი ყველგან 5 კაპ.

ფოსტის ადრესი: Тифлисъ, редакція «ИСАРИ»


## „ისრი"-ს ხელის მომწერთა საყურადღებოდ.

«ისარი»-ს კანტორა აცხადებს იმათ საყურადღებოდ, ვისაც ფული არ შემოუტანია, რომ გაზეთის გზავნა მოესპობათ, თუ დროზე არ შემოიტანენ ხვედრ ფულს. პირველ ივნისიდან გაზეთი მოესპობათ: ტფილისში—ვისაც 3 მ. 50 კ. მეტი არ შემოუტანია, ტფილისს გარედ—ვისაც 4 მანეთი მეტი.

პირველ ივნისიდან წლის დამლევამდე გაზეთი ღირს: ტფილისში—4 მან. 40 კაპ. ტფილისს გარედ—4 მ. 80 კ., საზღვარ-გარედ—7 მან.

ერთი თვით გაზეთი ღირს: ტფილისში 75 კაპ., ტფილისს გარედ—80 კაპ., საზღვარ-გარედ—1 მან. 50 კაპ.

გაზეთის გამოწერა შეიძლება მხოლოდ თვის პირველ რიცხვიდან.

ადრესის გამოცვლა ღირს: ტფილისიდან ტფილისს გარედ ერთი მანეთი, სხვა ადგილას—ორი აბაზი.

21/I-65
1

იოსებ კასრაძე და მისი ბიძაშვილები სთხოვენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ კვირას, 17 ივნისს, დაესწრონ დაკრძალვას სტოლიარის

**ალექსანდრე ივანეს ძის კასრაძისას.**

მიცვალებულს გაასვენებენ ქალაქის საავადმყოფოდან დილის 9 საათზედ კუკიის სასაფლაოს ეკლესიაში. (1-145—1)

ესმა შვილებით, ეფროსინე და მეტეხის ციხის პოლიტიკური ტუსაღები გულითადის მწუხარებით აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას: პირველი—შვილის, მეორე—ქმრის, ხოლო დანარჩენნი ძვირფასს ამხანაგის

**ვალერიან ალექსის ძე სალუქვაძისას.**

14 ივნისს მეტეხის ციხის საავადმყოფოში.

სახელმწიფო ბანკ ს ტფილისის

განყოფილებისაგან

# 25,000 მანეთი

ან 10 კ. თითო მანეთზე იმას, ვინც მთავრობას უჩვენებს, სად არის ის ფული, რომელიც ერევნის მოედანზე გაიტაცეს.

გატაცებულ იქნა შემდეგ ქაღალდის ფული:

| | | | | | |
|---|---|---|---|---|---|
| 25,000 | 5 მანეთიანი | 50,000 | მანეთისა | | 25,000 |
| | 10 | „ | 50,000 | „ | |
| | 25 | „ | 50,000 | „ | |
| | 500 | „ | 100,000 | „ | |

500 მანეთიანი შემდეგ №№-62901-დან 63000-მდე და 63701-დან 63800. ნომრებს წინ ზის ასოები A M.

(3—6.—1) ბანკის გამგე ბეზოგ აზოვი.

მთავარი მაღაზია

## პ. ს. დოროფეევისა

სოლოლაკის ქუჩა, სახლი გურგენოვისა.

სეზონის გათავებისა და შენობის გადაკეთების გამო მაღაზია

**განაგრძობს იაფ ვაჭრობას**

ყველა სასეზონო საქონელზე

**1 ივლისამდის**

ესე იგი 18, 19, 20, 21, 22, 23, 25, 26, 27, 28, 29 და 30 ივნისს. ამ ხნის განმავლობაში გაიყიდება ყველა სასეზონო საქონელი.

**დიდი ფასის დაკლებით**

ოთხ სპეციალურ განყოფილებაში:

შალის მატერიების განყოფილებაში,

მაუდის მატერიების განყოფილებაში,

საზაფხულო ფერად ქსოვილების განყოფილებაში,

კაცების და ქალების დამზადებულ საცვალის, ჩულქებისა და წინდების განყოფილებაში. (1—144—1)

ექიმი

**მ. ს. მუსხელიშვილი**

მიიღებს თვალებით ავად-მყოფებს ყოველ დღე დილით 9—11½. კიროჩნი ქუჩა № 9. (თვ.)

ექიმი

**ა. ნ. დიასამიძე**

**კანისა და ვენერიული.** დილით 9—10 ს. ს.დამოობით 6—8. ყორღანოვის ქუჩა № 14.

ლამბაშიძის

## სანატორიუმი

მატარა-ცემში

ქალ ვაჟთათვის 8—16 წლამდე.

პირობების გასაგებად ფოსტით უნდა მიმართონ, ბორჯომს ექიმ ვ. ლამბაშიძეს. (25—111—16)

კბილის ექიმი

**ალ. სოლოღაშვილი**

იღებს ავადმყოფებს ყოველ დღე 9—2 საათამდე და 5—7-მდე. გოლოვინის პროსპ. № 12. სახლი მდივნისა. (36)

კბილის ექიმი

**ნინო რცხილაძე**

იღებ ავადმყოფებს დილით 9—2 ს. საღამოთი —7 საათზე. ვერა, ოლგას ქუჩა, № 25. (0—125)

ექიმი

**მ. ვაშაკიძე**

იღებს შინაგან სნეულებით ავადმყოფებს დილის 1—2 ს., საღამოობით 5—6 საათ., გარდა კვირა დღეებისა, კიროჩნის და ელისაბედის ქუჩების კუთხეზე, ბარამოვის სახლი, № 92. (წ.უ—76)

**ქუთაისში**

ექიმი მაცრიუხოვი.

მიიღებს **შინაგან, სიფილისით, ვენერიულ** ავადმყოფებს და ბავშვებს. **ქიმიკო-მიკროსკოპიული გამოკვლევანი** ნახველისა, შარდისა, გონოკოკისა და სხვ. დილით 11—2 საათზე, საღამოთი 6—8 საათზე. სამხედრო საავადმყოფო, შესავალ პატარა ჭიშკარიდან. (60—ფოს.—31)

## სამკურნალო

**ექიმთა საზოგადოებისა.**

ტფილისში

მუდმივის საწოლებით

(ელისაბედის ქუჩა, № 79, ტელეფ. № 1026).

მიღება გარედან მოსიარულე ავადმყოფების.

**მიხეილ ბებურიშვილი**: 11—12 ს. საშარდე, კანისა და სიფილისი.

**ი. ნ. ეგიაზაროვი:** 11—12 ს. ნერვების, შინაგან ავადმ., წამლობა ელექტრონით.

**გ. ა. ლაპივიშვილი:** 12—1 ს. შინაგანი და ს ბავშვთ ავადმყოფობანი.

**ი. გ. ბეგლარიშვილი**: 12—1 ს. ქალისა და ბებიობისა.

**მ. ბ. გიმინერი**: 1—2 ს. ცხვირისა, ყელისა და ყურისა.

**ს. ა. ზეიერი:** 1—2 ს. საბავშვო და შინაგანი,

**ი. ნ. თუმანოვი:** 5—6 ს. საღამოთი. ქალისა და ბებიობისა:

სამკურნალოსთან შეიძლება ექიმობა ჰიპნოზით, აგრეთვე მიკროსკოპიული, ბაქტერიოლოგიური და ქიმიური გამოკვლევანი, ყვავილის აცრა და ძიძების გასინჯვა. ფასი რჩევისთვის 60 კაპ. ოპერაციები და კონსულტაციები შეთანხმებით. დაწოლა შეიძლება საზოგადო პალატაში და ცალკე ნომრებში. (100—ხალ.—77)

## ტფ. ქალაქის თავის

თანამდებობის აღმასრულებელი აცხადებს საყოველთაოდ, რომ კვირას, 17 ივნისს, 1907 წელს, „ტფილისის სობრანიეს" საზაფხულო სადგომში, მიხეილის ქუჩაზე, დანიშნულია პირველ საარჩევნო უბნის, რომელიც შესდგება 1, 2, 3 და 4 საპოლიციო ნაწილებისაგან, **დამატებითი არჩევნები ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა.** უნდა არჩეულ იქმნას ექვსი ხმოსანი და არა ნაკლებ ხუთის კანდიდატისა.

არჩევნები დაიწყება დილის 10 საათზე, ამასთან კენჭის ყრა გასტანს ნაშუადღევის ორ საათამდე. კენჭს უყრიან ყველა იმ კანდიდატებს, რომელთაც ყუთები დაუდგეს ამა წლის 27 მაისს, გარდა იმ თი, რომელნიც არ მოისურვებენ ხმოსნობაზე კენჭის ყრას. ყუთებს დაუდგამენ იმათაც, რომელნიც ხმოსნობაზე კენჭის ყრის თანხმობას განაცხადებენ.

იმათ, ვისაც 27 მაისამდე აღებული შესასვლელი ბილეთები დაუკარგავთ, აგრეთვე იმათ, ვისაც ბილეთები სულ არ აუღიათ და საარჩევნო სიებში კი არიან ჩაწერილნი, შეუძლიათ აიღონ ბილეთები გამგეობის კანცელარიაში ყოველ დღე, დილის 10 საათიდან ნაშუადღევის 3 საათამდე, ან თვით საარჩევნო კრებაზე არჩევნების დღეს, 17 ივნისს (2—6. 2)

წიგნების გამომცემელი

## ამხანაგობა „ცისკარი"

შეუდგა ქართულ ენაზე **გეოგრაფიის სახელმძღვანელოს** ბეჭდვას, რომელიც შეადგინა ბ. ა. ჭიჭინაძემ. ამ სახელმძღვანელოში მოთავსებულია პირველ დაწყებითი კურსი გეოგრაფიისა პირველ დაწყებით სასწავლებლებისა და საშუალო სასწავლებლების უმცროს კლასებისათვის. (3—6.—1)

**ამ მოკლე ხანში გამოვა**

ორ-კვირეული ჟურნალი

## რიჟრაჟი

ჟურნალში მოთავსებული იქნება: პოპულიარულ სამეცნიერო და პუბლიცისტური წერილები, ბელეტრისტიკა, ქრონიკა (შინაური და უცხოეთისა), ცნობილ მწერალთა და მოღვაწეთა ბიოგრაფიები სურათებით, ბიბლიოგრაფია და სხვა.

მონაწილეობას ღებულობენ ცნობილი მწერლები ახალ-თაობისა.

პირველი ნომერი გამოვა 1-ლ ივლისს. №-რი შეიცავს 100-დე გვერდს და ეღირება 20 კ.

რედაქციის საქმეების შესახებ მოლაპარაკება შეიძლება „სორაპნის" სტამბაში, მადათოვის კუნძულზე, ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით დილის 10-დან 11½ საათამდე. ფოსტის ადრესიც ესაა. (5—უ—2)



## ხელ-საქმე

მშრომელ ქალებსა და კაცებს ყოველ დღე 8-დან 4 საათამდე შეუძლიანთ აიღონ 1 მ. 50 კ. და მეტიც დღეში, თუ ჩემგან იყიდიან საუცხოვო მსწრაფლ-მქსოვ მაშინებს, რომელთაც საზღვარ-გარედაც დიდი სახელი აქვთ გავარდნილი. ვთხოვ მხოლოდ ყველას, ნუ აურევენ ჩემ მაშინებს სხვა ფირმების მაშინებთან.

ამ მაშინაზე სამუშაოდ წინ და წინვე ცოდნა საჭირო არ არის. მაშინები აქვე გვაქვს. ძაფს მე ვყიდი და დამზადებულ საქონელს ნაღდ ფულად მევე ვყიდულობ აქ. დაწვრილებით ცნობებს სიამოვნებით ვაძლევ ყველას უფასოდ კანტორაში და ვგზავნი ფოსტითაც.

კანტორა მსწრაფლ-მქსოვ მაშინების წარმომადგენლისა კავკასიის და ამიერკავკასიისათვის ტფილისში ვორონცოვის ძეგლის მახლობლად. ადრესი: Тифлисъ, Николаевская улица, № 9. (50—73.—39)

ნადირობა-ჯანმრთელობა.




იარაღი მიღებულია.

(მეც. 4—1)

დ. ჭიათურაში

## ჭიდაობა

კვირას, 17 ივნისს, კავკასიის უძლეველ ფალავნის ნ. ესებუას თაოსნობით, გაიმართება მეტად საინტერესო ხუთი ჭიდაობა. იჭიდავებენ: 1. როსტოველი რუსის უძლეველი ფალავანი მ. ლიტვინოვი და გორელი მოჭიდავე ვასო ნეფარიძე, რომლებმაც იჭიდავეს კვირას, 10 ივნისს, მაგრამ ვერც ერთმა ერთმა ვერ დასცა და დიდის ხნის ბრძოლის შემდეგ გაშველდნენ. დღეს, 17 ივნისს, ხელ მეორედ იჭიდავებენ ლიტვინოვი და ნეფარიძე იმ დრომდე, სანამ ერთ-ერთი არ დასცემს კანონიერად; გამარჯვებულს 25 მან. 2. ცნობილი მ. გურგენიძე დაეჭიდება საჩხერელ კ. არჯავანიძეს. გამარჯვებულს 15 მანეთი; 3. ვ. რევიშვილი დაეჭიდება კ. ცისკარიშვილს; გამარჯვებულს 10 მან. 4. ხ. დონლაძე დაეჭიდება ნ. ხაჩიძეს; გამარჯვებულს 10 მან. 5. დ. ნეფარიძე დაეჭიდება დ. დეკანოიძეს; გამარჯვებულს 10 მან.

ჭიდაობა დაიწყება ნაშუადღევის 4 საათზე.

ვიწვევ ყველა კუთხიდან მოჭიდავეებს. გამარჯვებულთათვის დანიშნულია ჯილდოები: 10, 15, 25 და 50 მან.

(1—143—1) გამგე **ნესტორ ესებუა.**

## ქუთ. სამასწავლებლო სემინარია

**(დაბა ხონში)**

## აცხადებს:

მისაღებ გამოცდაზე დასაშვები თხოვნები უნდა იქმნას წარმოდგენილი არა უგვიანესს 15 მარიამობისთვისა. თხოვნასთან ერთად წარმოდგენილ უნდა იქმნას შემდეგი მოწმობები: 1. დაბადება-მონათვლის შესახებ მეტრიკული ამოწერილობა, ანუ თვით კონტორის მეტრიკა; 2. სწავლა-ყოფა-ქცევის მოწმობა, თუ ყმაწვილს სადმე უსწავლია, ხოლო უკეთუ არ უსწავლია სასწავლებელში, იმ შემთხვევაში ჯეროვან დაწესებულებიდან ყოფა-ქცევის მოწმობა; 3. საზოგადოების მიერ თავისუფლების მოწმობა, ანუ პასპორტი, (აზნაურთა შვილები წარმოადგენენ აზნაურთა დეპუტატთა საკრებულოდან განაჩენის ასლს, ხოლო მოხელეთა შვილები—მამის ნამსახურობის სიის ასლს, და 4. ის ყმაწვილი, რომელიც სემინარიაში მიღების დღეს სრული თექვსმეტი წლის იქნება, წარმოადგენს აგრეთვე მოწმობას იმის შესახებ, თუ რომელ სამხედრო-საბეგრო ნაწილზეა მიწერილი.

რადგან სახელმწიფო ვაკანსიები სულ დაჭერილია, ამის გამო არავინ ახალ მოწაფეთაგანი სახელმწიფო ხარჯზე არ იქნება მიღებული. თავის ხარჯზე შემომსვლელთათვის კი არის მხოლოდ თორმეტი ვაკანსია მოსამზადებელ კლასში; სხვა კლასებში მიღება არ იქნება. ეგზამენიის დაჭერის მსურველი უნდა გამოცხადდეს სემინარიაში უთუოდ 25 მარიამობისთვეს, დილის 9 საათზე. პროგრამისა და უფრო დაწვრილებით ცნობათათვის მსურველს შეუძლია მიმართოს სემინარიას დაბა ხონში, ქუთაისის გუბერნიასა და მაზრაში. (1—6.—1)

**ახალი წიგნი**

წ.-კ. გ. წიგნის მაღაზიაში იყიდება ისტორიული მონოგრაფია

**„ამოხება კახეთისა" 1812 წ.**

**ა. ფრონელისა.**

ფასი ერთი მანეთი

იქვე იყიდება „მთიულეთი 1804 წ." იმავე ავტორისა. (20—უ.—10)

## იყიდება

**ძალიან იაფად**

შეშის საწყობი პ. ქურცხალიასი

შეშით და შენობებით, ანდრეევის ქუჩაზედ, დამოვნის პირდაპირ. მსურველთ შეუძლიანთ მიმართონ იქვე კანტორაში მმართველს ნ. კიკნაძეს. (4—125—4)

**დილის წარმოდგენა**

**ძმ. ნიკიტინის ცირკში.**

კვირას, 17 ივნისს, ქართულ-დრამატიულ დასის არტისტების მიერ

**ვ. აბაშიძის მონაწილეობით**

წარმოდგენილი იქნება:

I **ყაჩაღი არსენა**

დრამ. 3 მოქ. ა. ყაზბეგისა.

II **ხელოვნება თუ კაკარდა**

კომ. 3 მოქ. ალ. ბაქრაძისა.

მონაწილეობას მიიღებენ: ქ. ქ. ივანიძე, მდივანი, ნებიერიძე, კავთელი; ბ. ბ. ვ. აბაშიძე, სვიმონიძე, ჩარკვიანი, ბეგლარიძე, ბოთლიევი, ბაქრაძე, ლანდი და სხვა.

დასაწყისი სწორედ დილის 12 საათზე. ბილეთები იყიდება იქვე კასაში. სახაზინო თეატრის ბილეთები გამოდგება ამ წარმოდგენაზე.

(2—უ.—2) გამგე **ა. ბაქრაძე.**

ტფილისი, 17 ივნისი.

რამდენისამე დღის წინად ჩვენ ვწერდით ინგლისში აგრარულ საკითხის მდგომარეობის შესახებ და გავიცანით მოკლედ საფუძველნი, რომელთა მიხედვით ჰსურს დიდ-ბრიტანიის პარლამენტს, ეს დიადი საკითხი გადასწყვიტოს. ჩვენ ვნახეთ, რა დიდი კონტრასტი არსებობს ამ მხრით რუსეთისა და ინგლისის „მმართველ წრეებს" შორის. მაშინ როდესაც რუსის ფეოდალობა და მთავრობა დაბრმავებულის მედიდურობით უარჰყოფენ ამ სა-

კითხის რადიკალურად გადაწყვეტილების საჭიროებას, უარჰყოფენ შედარებით ზომიერ კომპრომისს, რომელსაც კა-დეტთა პარტიის აგრარული პროგრამა წარმოადგენს, ინგლისის მთავრობა და მასთან „წარჩინებული წოდებაც“ უშიშრად აღიარებენ იძულებით გამოსყიდვისა და მუნიციპალიზაციის პრინციპს. ინგლისის „მმართველ წრეებისთვის“ ცხადია, რომ ამ საქმეში ჯიუტობა განსაცდელს უმზადებს მთელ სამშობლოს მომავალს და ამიტომ ჩვეულებრივის სიბრძნითა და დარბაისლობით ემზადებიან დიადის რეფორმის მოსახდენად...

გუშინ ტელეგრაფმა მოგვიტანა მეორე ცნობა ინგლისიდანვე, რომელიც აგრეთვე გვისურათებს საინტერესო კონტრასტს. სწორედ იმ დღეებში, როცა მეორე სახელმწიფო სათათბირო დაითხოვეს და 3 ივნისს საარჩევნო კანონი გამოსცეს, ინგლისის პალატაში სჯა-კამათი ყოფილა ლორდთა პალატის გადაკეთების შესახებ და დიდის ხმის უმეტესობით მიუღიათ რეზოლიუცია, რომლის ძალით ზედა პალატის ძირითადი რეფორმა უნდა მოხდეს... ვინც იცის, რა არის ინგლისის აწინდელი ზედა პალატა, მისთვის ადვილი გასაგებია, რა ნაბიჯსა სდგამს წინ დიდ-ბრიტანიის დემოკრატია და აგრეთვე როგორ კონტრასტზე ვლაპარაკობთ ჩვენ.

ლორდთა პალატა ძველის დროის ნაშთია; მისი ახლანდელი ორგანიზაცია შესდგა მე-17 საუკუნეში და მას შემდეგ თითქმის უცვლელად არსებობს. იგი შესდგება სამეფო სახლის სრულ წლოვან პრინცებისაგან, დიდ-ბრიტანიის საერო პერებისაგან, რომელთაც ზედა პალატის წევრობა მემკვიდრეობით აქვთ მინიჭებული, ინგლისის ორ არხიეპისკოპოზისა და 24 ეპისკოპოზისაგან, ცალკე შოტლანდიის და ირლანდიის პერებისაგან (პირველთა რიცხვი—16, მეორეთა—28) და ზოგ სხვა ლორდთა ან მოხელეთაგან („მაღალი მოსამართლეები“); სულ ამ ჟამად 600 ლორდია—საერო და სასულიერო, რომელთაგან დიდ უმრავლესობას არავინ არ ირჩევს და მხოლოდ მემკვიდრეობით ან წარჩინებით აქვთ მინიჭებული პალატის წევრის უფლება. ასეთს არისტოკრატიულს დაწესებულებას ძირითადის კანონებით დიდი უფლება აქვს. ყოველი კანონ-პროექტი, რომელსაც ქვედა პალატა შეიმუშავებს, ზედამაც უნდა მოიწონოს, თორემ უამისოდ კანონად ვერ იქცევა. მიუხედავად ასეთის კონსტიტუციისა, როგორც იცით, ინგლისის პოლიტიკური წესწყობილება ამ ასის წლის განმავლობაში შესანიშნავად გადემოკრატდა. ქვედა პალატაც არისტოკრატთა და მსხვილ კაპიტალისტთა ბუდე იყო, მაგრამ თანდათან დაუახლოვდა დემოკრატიას. მართალია, ამისთვის დიდი ბრძოლა დასჭირდა ხალხს, მაგრამ ისიც უნდა ვაღიაროთ, რომ ლორდთა პალატაც არ იჩენდა ისეთს ჯიუტობას, ისეთ წინააღმდეგობას, როგორიც შეეძლო. ასე იყო წარსულ საუკუნეში. მაგრამ დადგა დრო, როცა ლორდთა პალატის დღევანდელი წესწყობილება შეუძლებელი გახდა. როცა ხალხმა ხელში ჩაიგდო სახალხო წარმომადგენლობის უფლება, როცა სახელმწიფო გადემოკრატდა, როცა დიადი სოციალ-პოლიტიკური რეფორმები მორიგ საქმეებად გადაიქცა, მაშინ ლორდთა პალატა ანახრონიზმად გადაიქცა, დაჰკარგა ნიჭი ახალ მოთხოვნათა დაფასებისა და ხალხის მისწრაფებათა დროზედ გაგებისა. პირველად ინგლისის ლიბერალურმა პარტიამ მაშინ გადასწყვიტა ლორდთა პალატის გადაკეთების აუცილებლობა, როცა ლორდებმა გლადსტონის ბილლი უარჰყვეს ირლანდიის ავტონომიის შესახებ. მას შემდეგ ინგლისის საზოგადოებრივი აზრი და დემოკრატია დაჟინებით მოითხოვენ რეფორმას და ახლანდელმა მთავრობამაც ეს პრაქტიკულ მისწრაფებადაც გაიხადა.

განხილვისა და კამათის შემდეგ ქვედა პალატას, როგორც მოკლედ გადმოგვცემს ჯერ ტელეგრაფი, სამი რეზოლიუცია წარედგინა: 1) კონსერვატორებისა, რომელნიც საჭიროდ სთვლიან მხოლოდ პალიატიურს რეფორმას (ერთი ნაწილი ზედა პალატისა ხალხმაც აირჩიოსო, ხოლო ლორდების უფლება ძველებურად იქმნას დაცულიო), მე-2 ლიბერალებისა, რომელნიც მოითხოვენ, რომ ზედა პალატის ყველა წევრს ქვეყანა ირჩევდეს ისე, როგორც ქვედა პალატის წევრებს ირჩევს და მე-3 მუშათა პარტიისა, რომელიც რასაკვირველია, ლორდთა პალატის სრულს გაუქმებას მოითხოვს. პალატამ დიდის უმრავლესობით მეორე რეზოლიუცია მიიღო, ესე იგი, ლიბერალთა კომპრომისული რეზოლიუცია, რომელიც არ სპობს ზედა პალატას, მაგრამ ადემოკრატებს მას. უეჭველია, ამის განსახორციელებლად ბრძოლა დასჭირდება ხალხს, მაგრამ დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ დემოკრატიის სურვილი სულ მოკლე ხანში გადაწყდება: ლორდები და „მმართველი წრეები“ დიდ წინააღმდეგობას არ გასწევენ, რადგან იციან, რომ თუ ლიბერალების კომპრომისიც უარჰყვეს, მაშინ ზედა პალატის სრული-მოსპობაც გადაიქცევა მორიგ საკითხად...

ამრიგად, ინგლისი ადემოკრატებს ზედა პალატასაც კი; ამავე დროს რუსეთის „მმართველი წრეები“ თავის ქვედა პალატის უფლებასაც ზღუდავენ: ჰქმნიან ისეთ საარჩევნო კანონს, რომელმაც ქვედა პალატაც-კი არისტოკრატიულ დაწესებულებად უნდა გადააქციოს. რუსეთის ბიუროკრატია მამაცია და უშიშრად სთელავს ისტორიის გაკვეთილებს და განათლებულ სახელმწიფოთა მაგალითებსაც!..

### ფიქრების ნაწყვეტები.

მოხდა ის, რაც უნდა მომხდარიყო და აუცილებელი იყო ის, რაც მოხდა. მაგრამ ეს იმას კი არა ნიშნავს, ვითომ ესოდენი ბრძოლა სწორედ 3 ივნისის საარჩევნო კანონით უნდა დასრულებულიყო. ბრძოლის სასწორი დიდი ხანია მეორე მხარეზე გადაიხარა და 3 ივნისი იყო მხოლოდ დასაწყისი მეორე მოქმედებისა და ერთი რგოლი ჯერ კიდევ გაუთავებელ ისტორიისა. მაგრამ თავის მოტყუებამ დაგვღუპა და ამ შეცდომის განმეორება დამარცხების განმეორება იქნება, ამიტომ ისევ სჯობია, რომ პირდაპირ ვთქვათ: 3 ივნისიდან მეორე მოქმედება კი არ იწყება, არამედ დიდი, და ხანგრძლივი ანტრაქტი. ორი კვირა გავიდა მას აქეთ, რაც პოლიტიკურმა სასწორმა ოფიციალურად აღნიშნა საზოგადოებრივ ძალთა განწყობილება, მაგრამ ეს მოკლე დრო უფრო მეტს გვასწავლის ვიდრე ერთი წელიწადი. მაგრამ გვასწავლის კი რასმეს ეს ორი კვირა? ან იქნება „ისტორია არავის არაფერს არ ასწავლის“?

მგონი მართალია ამისი მთქმელი: ისტორია არავის არაფერს არ ასწავლისო. ან რა ვისწავლეთ ჩვენ, ქართველებმა, ამ ორ წელიწადში, ან რა ისწავლეს ჩვენში იმათ, ვისაც თავისი თავი ხალხის მეთაურად და ერთად ერთ მეგობრად მოჰქონდა? დღეს თუ ხვალ კატასტროფა მოელოდათ, ცხვირ წინ თავიანთ არსებობისა და ბრძოლაში წართმეულ პოზიციების გამაგრების საკითხი ედგათ და ისინი კი.. არა, განა მომავალი ჩვენი თაობა არ გაიცინებს, როცა ისტორიაში ამოიკითხავს, რომ ასეთ დროს ცხრა მთის იქით ინგლისში 300 საუკეთესო წარმომადგენელი „ერთად-ერთ“ სოც. პარტიისა სამი კვირის განმავლობაში ერთმანეთს ზურგზე ბოლს აღენდნენ, ბავშვებივით კინკლაობდნენ, მამლებივით ყოყლოჩინობდნენ და მარქსის თვალ-საზრისით არკვევდნენ სადღეისო საჭირბოროტო საკითხს, „რომელი პარტია უფრო გადავიდა კონტრ-რევოლიუციის მხარეზე, კადეტებისა თუ ოქტომბრისტებისაო“. „ლახვარში“ რომ კონგრესის ანგარიშებს ვკითხულობდი, ერთსა და „მავე დროს სიცილიც მინდოდა და აღშფოთებული ყვირილიც. სოც. დემ. ფრაქციის ლიდერები ერთმანეთს უკიჟინებდნენ, შენ კადეტებთან ჩაის მიირთმევდიო, შენ მილიუკოვს ელაპარაკებოდი და ამით პროლეტარიატს ღალატობდიო. მაგრამ რის დოქტრინიორები იქნებოდნენ ახალ სახარებაზე აღზრდილი სხოლასტიკოსნი, რომ მარქსის ამა თუ იმ ფრაზის განმარტებასა და ახსნაზე არ დაეხარჯათ სამი კვირა იმ დროს, როცა მათ კისერზე მოღერებული იყო ბასრი მახვილი. არ ვიტყვით, ვითომ ისინი ამ მახვილს ვერა ჰხედავდნენ, მაგრამ ასეთ დროს კაზუისტიკოსობა და დოქტრინიორობა, ერთმანეთის წეწვა და ბავშური კინკლაობა ისეთის ძალით ახასიათებს მათს უძლურებას, რომ დაბეჯითებით შეიძლება ითქვას: იმათ არა თუ ვერაფერი ვერ ისწავლეს, არამედ ვერც არასდროს ისწავლიან რასმეს.

მუდმივ თავიანთ ძალის განდიდებამ და მოპირდაპირეს დამცირებამ კისერი მოუგრიხა რუსეთს იაპონიასთან ომის დროს და ამავე სენმა ჩვენც გამოგვკრა თავისი კლანჭები. ასი წლის განმავლობაში შეგროვილი სახალხო ენერგია სულ ტყუილ-უბრალოდ გავფლანგეთ, წყალში გადავყარეთ და ეხლა კიდევ ასი წელიწადი უნდა ვისხდეთ გულხელდაკრეფილი და ვუცადოთ იმ დროს, როცა ხალხი ხელმეორედ მოიკრეფს დაკარგულ ძალას. მეტყვიან, ეგ ენერგია ტყუილ-უბრალოდ არ არის დახარჯულიო, მაგრამ „ჩიტი პტყვნად არა ღირდა, დევნა კი მეტი-მეტი იყოო“. რა მივიღეთ სამაგიერო? ვის და რას შევალიეთ ჩვენი ძალე? „დიადს, მძლავრსა და დიდებულ ახალგაზრდა **რუსეთს**“, ასე გაიძახოდა დეპუტატი წერეთელი სათათბიროში და კრინტსაც არა სძრავდა იმ ხალხზე, რომელმაც ესოდენ მძიმე მსხვერპლით იყიდა უფლება მისი პეტერბურგში გაგზავნისა. ჩვენმა ხალხმა იბრძოლა, უდიდესი ენერგია და თავგანწირულება გამოიჩინა ამ ბრძოლაში, მაგრამ, Baton-ისა არ იყოს, „მას არა ჰქონია ეროვნული სული, არა ყოფილა შემოქმედება მთელი ქართველ ერისა; [illegible] მთელის ერის ორგანიზაციისა, არა ჰქონდა მოქმედების [illegible] პროგრამა.“ აბა საიდან ექნებოდა ეროვნული სული იმ ხალხს, რომელიც მხოლოდ „დიდებულ რუსეთის“ გამტკიცებისათვის იბრძვის, და რომელმაც ისიც არ იცის, რომ ცენტრალისტურ რუსეთის რესპუბლიკა სხვა ერთა „ეროვნულ სულსაც“ ისე შეებრძოლება, როგორც თვითმპყრობელური ბიუროკრატია.

არა, არ გვეტყვის მადლობას ჩვენი მომავალი თაობა „დიად რუსეთის“ შესაქმნელად ესოდენ ენერგიის დახარჯვისთვის და უზომო მსხვერპლის შეწირვისთვის. პოლონელებმა თავიანთი საბრძოლველ დევიზად დაისახეს ძველი ლოზუნგი „თქვენი და ჩვენი თავისუფლებისთვის“ ქართველებმა კი სიტყვა „ჩვენი“ ჩამოვაცალეთ ამ ლოზუნგს და თავი შევაკალით „დიად რუსეთს“, რომლის საზღვრებში მხოლოდ რუსები მოჰყვნენ (ისიც, რასაკვირველია, ნახევრად).

სხვები ჩვენთვის თავებს არ დაიხოცავენ და არცა ვართ ამისი ღირსნი. თუ ჩვენვე საკუთარ იდეალს თვითმართველობას ჭირივით ვდევნით და ამ სიტყვის მთქმელს ქოქოლას ვაყრით, სხვას ჩვენი იდეალებისთვის ბრძოლას ვერ მოვთხოვთ და არც არავინ ამოიღებს ამისთვის ხმას.

## ახალი ამბავი

✦ **ხმოსნების არჩევნები**. დღეს, 17 ივნისისათვის, „ტფ. სობრანიეს“ საზაფხულო სადგომში დანიშნულია დამატებითი არჩევნები ტფ. ქალაქის საბჭოს ხმოსნებისა. ამ დღეს კრება მოხდება პირველ საარჩევნო უბანში. უნდა აირჩიონ 6 ხმოსანი და არა ნაკლებ 5 კანდიდატისა.

✦ **სამხედრო სასამართლო**. ტფ. გენ. გუბერნატორის განკარგულებით, სამხედრო ოლქის სამართალში მისცეს ბებნისელი სერგო სვიმონაშვილი და სამწევრისელი ლავრენტი მეძე, რომელთაც აბრალებენ მელიტონ ბედიაშვილის მოკვლას.

✦ **გადასახლება ჩრდილოეთში**. ვიატკის გუბერნიაში სამი წლით იგზავნებიან: ვანო და კ. ბოგატუროვები—სამხედრო წესების მოხსნამდე; ასტრახანის

## ფელეტონი

### შავი მოსე

გ. პეტროვისა

ომამდე, რომელიც მოხდა ზანგების განსათავისუფლებლად ჩრდილო და სამხრეთ ამერიკის შტატებს შორის, ვირგინიის შტატში ერთ ზანგის დედაკაცს ეყოლა ვაჟი, რომელსაც სახელად ბუკერი დაარქვა. გვარი არა ჰქონდა, რადგან მონებს გვარს არ აძლევდნენ. სცხოვრობდა პატარა ბუკერი დედასთან ერთ პატარა ოთახში, რომელსაც სიგძე ექვსი, ხოლო სიგანე ხუთი ნაბიჯი ჰქონდა. არც სკამი, არც მაგიდა: ეძინათ, სჭამდნენ, ისხდნენ მიწაზედ. ძნელი იყო ამგვარად ცხოვრება. ეს იყო ცხოვრება პირუტყვისა და არა ადამიანისა.

ბუკერი იზრდებოდა და კი არ იცოდა ბავშობის ბედნიერება: დედას ვერც კი ჰხედავდა თვალით. მარტო მაშინ დაინახავდა, როცა იგი შინ დაბრუნდებოდა ხოლმე მუშაობიდან. ცოტათი წამოიზარდა თუ არა, მაშინვე საქმე მიუჩინეს: ეზიდებოდა წყალს, ჰგვიდა ეზოს, მიჰქონდა საჭმელი მუშებთან, დასდევდა ცხენებს. ბავშვის ტანისამოსს შეადგენდა ხელით მოქსოვილი მოუხეშავი პერანგი, ხის ფეხსაცმელი, რომელიც საშინლად უბეჟავდა ფეხებს. ამას კიდევ უძლებდა ბავშვი, მაგრამ პერანგი აწუხებდა ძალიან: ისეთი სქელი იყო, რომ ტანს სულ უხეხავდა.

ასე გაიარა რვა წელმა. ეს დრო ზანგებისავით სავსე იყო ათასის მოლოდინითა და იმედით. ბუკერს ამ დროს თავის დედისაგან თუ სხვებისაგან ესმოდა ერთად ერთი ვედრება ღვთისადმი: მალე განთავისუფლებულიყვნენ ზანგები მონობისაგან. მიიღეს კიდეც თავისუფლება. აუწერელი იყო ის სიხარული, რომელიც მოუტანა ზანგებს ამ ამბავმა. ბოლოს ისინიც ეღირსნენ თავისუფლებას, ისინიც ჩაითვლებიან ადამიანებში, განთავისუფლდებიან საუკუნო ყმობისაგან, დაიწყება იმათთვისაც თავისუფალი ცხოვრება... მაგრამ, რადგან ამოდენა ხანს მონებად იყვნენ, არ იცოდნენ, რა ექნათ თავისუფლებისთვის. ისე არაფერი არა სჩაგრავს კაცს, როგორც მონობა. დამონებული ჰკარგავს გულწრფელობას, ხდება ვერაგ ადამიანად. ასეთები იყვნენ ამერიკის ზანგები თავისუფლების მიღების დროს. გუშინდელი მონა დღეს თავისუფალი მოქალაქე იყო. მაგრამ არ იცოდა, რა ექნა თავის თავისუფლებისათვის. ამ დროს იმათ ნამდვილ მხსნელად, ნამდვილ გზის მაჩვენებლად მოევლინათ ბუკერი.

ბუკერი მონობაში დაიბადა. ეხლა ის მთელს ამერიკაში ყველასაგან ცნობილი პატივცემული კაცია. ბუკერი დირექტორია ზანგების სასწავლებლებისა. ის გრძელი გზა, რომელიც მან გაიარა, ადვილი არ იყო, რადგან იმისი დედა მეორედ გათხოვდა, დაწვრილშვილდა და დიდი შრომა უნდოდა ოჯახის გამოსაკვებად.

პატარა ბუკერი ჯერ ათი წლისა არ იქნებოდა, რომ მამინაცვალმა მუშად დააყენა ქარხანაში. მძიმე იყო ეს შრომა ბუკერისათვის, რადგან დილის ოთხ საათზედ უნდა დაეწყო მუშაობა. მაგრამ ბავშვებისათვის სატანჯველი უფრო ის იყო, რომ სწავლის დრო აღარა ჰქონდა. მართალია, ზანგებისათვის ქარხანასთან სკოლა იყო, მაგრამ მამინაცვალი ნებას არ აძლევდა იქ სიარულისას. ბოლოს ისევ დედის დახმარებით ბუკერმა დაიწყო სიარული საღამოს გაკვეთილებზედ, მაგრამ ეს გაკვეთილები არ აკმაყოფილებდა: მას უნდოდა ყოფილიყო ისეთივე მოსწავლე, როგორიც სხვები იყვნენ. მან დაუწყო თხოვნა მამინაცვალს, მიეცა ნება სასწავლებელში სიარულისა. მამინაცვალი დაჰყაბულდა, მაგრამ იმ პირობით, რომ ბუკერს დილის ოთხ საათიდან ცხრამდის ქარხანაში ემუშავნა, შემდეგ წასულიყო სასწავლებელში და სწავლის მერე კიდევ ორ საათს ემუშავნა. ბუკერი, რასაკვირველია, დაკმაყოფილდა. მზად იყო აესრულებინა ყველაფერი, ოღონდ სწავლის სახსარი ჰქონოდა. სკოლაში ბუკერს ორი ნაკლი აღმოაჩნდა, რომელიც ძალიან აწუხებდა. პირველი ის, რომ ყველას სკოლაში მოსიარულეს ქუდი ჰქონდა, მას კი თავის დღეში ქუდი არა ჰხურებია; მეორე კიდევ ის, რომ ბუკერს გვარი არა ჰქონდა. პირველ ნაკლს დედამ უშველა. იყიდა ერთ შაურად მაუდის ორი ძველი ნაჭერი და სამ კუთხა ქუდი შეუკერა. „ჩემს სიცოცხლეში,—ამბობს ბუკერი:—არც შემდეგ, არც წინად არა ვყოფილვარ ისეთი ბედნიერი, როგორც ამ ქუდის დახურვის დროს“. მეორე ნაკლი კი თითონ შეივსო. როცა ჰკითხეს—რა გვარი ხარო, მან ხელად წამოიძახა—ვაშინგტონიო. მაგრამ ვერც ქუდმა, ვერც გვარმა ვერა უშველა რა. მამინაცვალმა გამოიყვანა სასწავლებლიდან და მისცა ქვა-ნახშირის მაღაროში, რადგან აქ უფრო მეტ ფასს აძლევდნენ. „როგორის შურით ვუყურებდი იმ ბავშვებს,—ამბობს ბუკერი:—რომელნიც განუწყვეტლად სწავლობდნენ. მე მინდოდა სწავლა, რომ მცოდნოდა რამე და დავმდგარიყავ კაცადაო“.

ამ მაღაროებში ბუკერმა, სხვათა შორის, გაიგო, რომ იმის წინანდელ სამშობლოში ზანგებისათვის არსებობდა სკოლა. გადასწყვიტა იქ წასვლა. ამის გამო იგი დადგა მოჯამაგირედ, თვეში თუმნად. დაჰყო ამ ადგილზე წელიწადნახევარი. მოგროვილ ფულით და ათიოდე წიგნით გაუდგა გზას. რვაასი ვერსი ადვილი გასავლელი არ იყო ბუკერისათვის, რადგან ფეხით უნდა ევლო და ღამეებსაც სულ ცის ქვეშ ატარებდა. ბოლოს, როგორც იყო მიაღწია, გემპტონს, სადაც სასწავლებელი იყო. დაგლეჯილმა, მშიერმა ბუკერმა არ იცოდა ვის მიჰკედლებოდა, მაგრამ იგი მხნედ იყო, იმედით სავსე ახალ ცხოვრებისადმი, რომელიც იმ ქალაქში მოელოდა. ბუკერი მისვლისათანავე სკოლისკენ გაემართა, სადაც მასწავლებელი ქალი დაუხვდა. ბუკერმა იმას მიმართა:

— მიმიღეთ სასწავლებელში,—შეეხვეწა ქალს,—მართალია, ფული არა მაქვს, რომ გაძლიოთ, მაგრამ მოჯამაგირედ დაგიდგებით და ყველაფერს გავაკეთებ, რასაც მიბძანებთ.

ქალმა კარგა ხანს უყურა ბუკერს და უთხრა:

— კარგი, ვნახავ. წადი და, თუ შეგიძლიან, ეს დიდი სადარბაზო ოთახი დაასუფთავე.

ბუკერი შეუდგა საქმეს: დაგავა, ჩამოწმინდა კედლები და დაასუფთავა ყველაფერი, მასწავლებელმა რო ნახა, მოეწონა და დასტოვა სასწავლებელში. ამ რიგად ბუკერს აუსრულდა გულის წადილი—გახდა ნამდვილ მოსწავლედ. ბუკერი დგებოდა დილის ოთხ საათზე, უვლიდა მთელ სასწავლებელს, ანთებდა ფეჩებს და შემდეგ ამზადებდა გაკვეთილებს. გემპტონში ყოფნის დროს ბუკერს მიაქცია ყურადღება ამ სასწავლებლის უფროსმა გენერალმა ამსტრონგმა. ამსტრონგი იყო ფრიად პატიოსანი კაცი და მომხრე ზანგებისა. იმან აიყვანა თავის მფარველობის ქვეშ ბუკერი და დიდი გავლენაც იქონია მაზედ.

გაიარა ერთმა წელმა. საზაფხულოდ ყველანი დაითხოვეს; მოსწავლენი შინისკენ გაემართნენ. ბუკერსაც უნდოდა შინ წასვლა, მაგრამ წადილი ვერ აუსრულდა, რადგან არც ფული ჰქონდა და არც ტანისამოსი. მთელი წლის განმავლობაში ერთი წყვილი წინდის მეტი არა ჰქონია რა. საღამოთი გაირეცხავდა, დაიკერებდა და მეორე დილას ისე ჩაიცვამდა. ბუკერი იმ ზაფხულს მოსამსახურედ სასტუმროში დადგა. შემოდგომაზე, სწავლა რომ დაიწყო, ისევ სასწავლებელში დადგა მოსამსახურედ და თან განაგრძობდა სწავლას. ამ რიგად ბუკერმა დაამთავრა აქ სწავლა. ზაფხულში ისევ მოჯამაგირედ დადგა, რათა საგზაო ფული შეეკრიბა. შემოდგომაზე გაემართა თავის დედასთან. იქ ბუკერმა მალე მასწავლებლის ადგილი იშოვნა ზანგების სასწავლებელში.

მოახლოვდა ბუკერის გულის წადილის აღსრულება. ეხლა იმასაც შეეძლო მოეტანა სარგებლობა თავის დაჩაგრულ, დავიწყებულ ხალხისთვის. ამ სასწავლებელში იგი ასწავლიდა დილიდან საღამოს ათ საათამდე. ასწავლიდა ბავშვებს, დიდებს, მოხუცებულებს; ზოგი მიდიოდა, ზოგი მოდიოდა. ყველას ასწავლიდა, უხსნიდა, უკითხავდა, ელაპარაკებოდა, რათა გაენვითარებინა ისინი. ბევრს მუშაობდა ბუკერი თავის სკოლაში, მაგრამ უფრო მეტს თითონ სწავლობდა. უკანასკნელ გროშს წიგნების ყიდვას ანდომებდა. ამსტრონგი კი თვალს არ აშორებდა თავის გაზდილს და უხაროდა, რომ ასე მუშაობდა ბუკერი. გუნებაში იგი ბუკერს არწივს ეძახდა და ფიქრობდა: „მალე გაეზრდება არწივს ფრთები, შორს გაფრინდება და თავის ხალხსაც შორს წაიყვანსო“.

ამ სასწავლებელში ბუკერმა დაჰყო ორ წელიწადს. ამ დროს ამსტრონგმა ის თავის სასწავლებელში გადაიყვანა მასწავლებლად; ბუკერს ძალიან უხაროდა იქ გადასვლა. ეხლა უფრო მეტი სარგებლობა შეეძლო მოეტანა თავის ხალხისთვის. იგი ამზადებდა დიდებსაც ამ სასწავლებელში შესასვლელად. ამიტომ ბუკერისთვის ძალიან ძვირფასი იყო დრო. ამსტრონგი აქაც თვალს აშორებდა, ბუკერს უნდოდა უფრო თავისუფალი ადგილი მიეცა იმისთვის. მალე შემთხვევამ ნება მისცა ამის აღსრულებისა, მთავრობამ გადასწყვიტა, სასწავლებელი გაეხსნა

გუბერნიაში ყარაბაღი ოჰანეზოვი და ბ. ევაზიანცს. პირველ ორს აბრალებე რევოლიუციონერობას და ძარცვა-გლეჯას.

✦ **სიკვდილით დაჭრა.** 15 ივნისს, საღამოს 7½ საათზედ, რიყის ქუჩაზე ციციანოვის აღმართის ახლო მიმავალ შულავერის მამასახლისად ნამყოფს ვახტან მეგრაბიანცს წამოსწევია ვიღაც ყმაწვილი კაცი, 17—18 წლისა, რამდენჯერმე რევოლვერი უსროლია და სასიკვდილოდ დაუჭრია. უცნობი დააპატიმრეს. ყმაწვილი აღმოჩნდა მამიკონ კარდაშიანცი.

✦ **ქართული ლექცია.** დღეს, 17 ივნისს, დილის 11 საათზე, პრივატ-დოცენტი ალ. ი. ჯავახიშვილი წაიკითხავს ქართულად ლექციას ამ სათაურით: „დამოკიდებულება მთავრობის და წოდებათა შორის საქართველოში მე-9—13 საუკუნის განმავლობაში“.

✦ **წლიური კრება.** „ქ. შ. წ. კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ გამგეობამ უკვე დაასრულა შედგენა საზოგადოების წარსულის წლის მოქმედების ანგარიშისა. წლიური კრება მოხდება შემოდგომაზე.

✦ **ახალი გაზეთი.** სამშაბათს, 19 ივნისს გამოვა ყოველდღიური ქართული გაზეთი „დილა“.

✦ **მამასახლისის მოკვლა.** პოლიციის მე-10 ნაწილში, 5 ივნისს საღამოს ვიღაცეებმა დასჭრეს ტფილისში რაღაც საქმისათვის ჩამოსული დირბის საზოგადოების მამასახლისი. სამჯერ უსროლიათ რევოლვერი და დაუჭრიათ ხელეფსა და ფეხში.

✦ **ფოსტაზე თავდასხმა.** სოჩის ოლქში, დეპეშის სიტყვით, შეიარაღებული კაცნი თავს დასცემიან ფოსტას. დაუჭრიათ სტრაჟნიკი. ფოსტა უფულო იყო.

✦ **ტფილისიდან გაძევება.** აეკრძალათ ტფ. გუბერნიაში ცხოვრება ისააკ კუპატაძეს და გიორგი ცხვედაძეს.

✦ „ისრის“ მე-125 ნომერში, ქუთაისის ამბებში, მოხსენებული იყო, რომ ამას წინად დატუსაღებულ ჭიათურის სამ მასწავლებლის მითაიშვილის, ცუცუნავას და გომელაურის, შესახებ ოლქის სასამართლოს პროკურორს საქმე მოუსპია, და მათ საპატიმროდან განთავისუფლებას დღე-დღეზე მოელიანო. ეს ამბავი, როგორც ეხლა გვატყობინებენ, მართალი არ არის. ხსენებული მასწავლებელნი სულ არა ყოფილან დატუსაღებულნი. მათ შესახებ საქმე შეუჩერებია ჟანდარმერიას, მაგრამ რაკი საწინააღმდეგო ვერა ენახავს-რა, სრულიად მოუსპია.

✦ სკულპტორს ი. ი. ნიკოლაძე, რომელიც ამ ჟამად პარიზში იმყოფება, მოუწვევია თავის ატელიეში გამოჩენილს სკულპტორს როდენს. ბ-ნ ნიკოლაძეს უკვე კარგა ძალი ბიუსტები დაუმზადებია შოთა რუსთაველისა.

✦ ტფ. გენ-გუბერნატორის განკარგულებით, დაიკეტა სამხედრო წესების მოხსნამდე დუქანი გრიგოლ მაისურაძის.

✦ 15 ივნისს ნაშუადღევის პირველ საათზე შუა ბაზარში მანთაშევის ქარვასლის წინ, ვიღაც სამი შეიარაღებული კაცი თავს დაეცა თელავის მცხოვრებელს გარსევან კურშენოვს, წაართვეს ვერცხლის საათი, ქამარი და მიიმალნენ.

**შეცდომის გასწორება.** „ისრის“ გუშინდელ ნომერში დაბეჭდილია, რომ 13 ივნისს ერევნის მოედანზე თავდასხმის დროს წაიღეს სულ (ნაპოვნის გარდა) 161,280 მან. 25 კ. უნდა იყოს 260,886 მ. 25 კ.

## შავი ქვის მრეწველთა მეცხრე კრება.

13 ივნისი.

კრება დილის 10 საათზე დაიწყო. მოსეშვილის წინადადების თანახმად, კრებამ, 27 ხმის უმეტესობით წინააღმდეგ 7-სა დაადგინა, შუამდგომლობა აღძრას, რომ დებულება შავი ქვის მრეწველთა კრებისა შევსებულ იქმნას განსაკუთრებულ მუხლით, რომლის ძალითაც საბჭოს დაწესებულებებში დაქირავებულ პირებს ეკრძალებათ კრებაზე დასწრება გადამწყვეტის ხმით. მათ უნდა მიეცეთ უფლება თავიანთ შორის აირჩიონ სამი წარმომადგენელი, რომელთაც კრებებზე მხოლოდ რჩევის ხმა მიეცემათ.

შემდეგ კრებამ დაადგინა; შეტანილ იქმნას დებულებაში ისეთი მუხლი, რომელიც შავი ქვის მრეწველთ უკრძალავდეს ხმის გადაცემას სხვა ვისმეზე, გარდა მოურავებისა. შავი ქვის მრეწველთა ერთმა ჯგუფმა წინადადება შემოიტანა, რომ ჭიათურის საქალაქო სასწავლებელი სავაჭრო გიმნაზიად გადაკეთდეს. კრებამ ერთხმად დაადგინა, მიიღოს ეს აზრი, ხოლო ლაპარაკი შესახებ სასმისო ფონდის დაარსებისა იქონიოს ხარჯთ-აღრიცხვის განხილვის დროს. მოხსენება წაიკითხა საბჭოს წევრმა ა. გამრეკელიშვილმა პირველ დაწყებით სკოლების შესახებ. კრებამ ხმის უმეტესობით მოიწონა მომხსენებლის წინადადება და დაადგინა: თანდათან გაიხსნას პირველ დაწყებითი სკოლები ჭიათურის მიდამოებში, შავი ქვის მრეწველთა ხარჯით, შემდეგის პირობით: 1. იმ სოფლებში, სადაც უკვე არის სკოლები, ახალ სკოლები გახსნის მაგივრად, არსებულ სკოლებს მიეცეს დახმარება ფულით და 2. ზედამხედველობა ამ სკოლებზე დაეკისროს ჭიათურის სამოქალაქო სასწავლებლის პედაგოგიურ საბჭოს.

გარდა ამისა კრებამ დაადგინა, სკოლები გახსნას მხოლოდ იმ სოფლებში, რომელნიც უფასოდ დაუთმობენ სკოლისთვის საჭირო ადგილს და შენობისათვის საჭირო მასალასაც უფასოდ მოზიდავენ.

სამთო-სატეხნიკო სასწავლებლის შესახებ კრებამ ერთხმად დაადგინა: მოწონებულ იქმნას აზრი სამთო-სატეხნიკო სასწავლებლის დაარსებისა მუშებისათვის და წვრილ მოსამსახურეთათვის და დაევალოს საბჭოს, რომ მან დააჩქაროს დამტკიცება სასმისო წესდებისა, იმ პირობით კი, რომ სასწავლებელში სწავლა შემწყნარე ქართულ ენაზე იყოს.

## წერილი სპარსეთიდან

**რევოლიუცია და შარიათი —აგრარული საკითხი და ანჯუმენი.**

სპარსეთის რევოლიუციას ჯერ-ჯერობით არ გადაუბიჯებია იმ დაწყევლილ წრისათვის, რომელიც შემოფარგლული აქვს შარიათით. ხალხი ისეა მიჩვეული შარიათის წეს-რიგზედ ცხოვრებას, იმდენად შესისხლ-ხორცებული აქვს შარიათის მოძღვრებანი, რომ მის გარეშე ცხოვრება არ მიაჩნია ადამიანურ ცხოვრებად და არც შარიათის გარედ მცხოვრებნი მიაჩნია ადამიანებად. ამიტომაა, ვინც შარიათზე არა ცხოვრობს, იმას იგი მურდალს და უწმინდურს ეძახის. ამისთანა შეხედულების ხალხი, რასაკვირველია, რევოლიუციაშიაც შარიათის მოძღვრებას შეიტანდა. შარიათში შეღებული რევოლიუცია-კი გაურკვეველია და არეულდარეული, როგორც თვით შარიათი.

აქნობამდის აგრარული საკითხი თეირანში უნდა გადაწყვეტილიყო, მაგრამ მისი გადაწყვეტა ვერ მოახერხა პარლამენტმა, რადგან იგი კონსტიტუციაზედ ლაპარაკმა მთელი წელიწადი შეიყოლია; თუნდა ესეც არა ყოფილიყო, იგი თავის გადაწყვეტილებით ვერ დააკმაყოფილებდა ხალხს, პარლამენტი დღევანდელ თვის შემადგენელებით ვერ დასთანხმდება ხალხის მოთხოვნილებას, ვერ მისცემს ხალხს მიწას—ეს ეწინააღმდეგება თვით პარლამენტის წევრთა საკუთარ ინტერესს და შარიათიც მალას არ ატანს მიცემაზედ, ნათქვამია, მიცემა ნებაყოფლობით უნდა ხდებოდესო. ხალხიც შარიათით თხოულობს: ნათქვამია შემძლებელმა შეუძლებელს უნდა მისცეს თავის შეძლების, რაც შეიძლება, დიდი ნაწილიო. აგრარული საკითხი ამ მდგომარეობაშია და მისი გამოხსნა თეირანის აწინდელ პარლამენტისათაის ყოვლად შეუძლებელია.

აქამდის მივიწყებული აგრარული საკითხი ყანების მკის მოახლოვებამ წამოაყენა ფეხზედ. ყველა რაიონის გლეხებმა ანჯუმებს მიჰმართეს. ითხოვენ იმათგან, მოაწესრიგოს მიწის ღალა, წინააღმდეგ შემთხვევაში სრულიად უარს ამბობენ ღალის მიცემაზედ. ანჯუმები ასდენენ კრებებს, მემამულეთა და გლეხთა წარმომადგენლების თანადასწრებით, ურჩევენ მემამულეთ, შეამცირონ ღალა, ურჩევენ გლეხებს როგორმე მოურიგდნენ მემამულეთ, ვიდრე თეირანის პარლამენტი გადასწყვეტდეს მიწის საკითხს. ამისთანა რჩევადარიგება ვერც მემამულეებზედ იქონიებს გავლენას, და არც გლეხებზედ. აქნობამდის მემამულე მოსავლის ნახევარს იღებდა. ეხლა გლეხები მხოლოდ მეათედის მიცემას უპირებენ და, აბა, როგორ დასთმობს მემამულე ამისთანა მსუქან ლუკმას.

რუსეთის საზღვარზედ ჯულფში მთელი შენობები ჯულფისა, იმის გარშემო ადგილი 15 ვერსის მანძილზედ, რომელზედაც 12 სოფელია გაშენებული, ამავე მანძილის არაქსის ნაპირი, სადაც ბორნები და ნავები მუშაობს საქონლისა და მგზავრების გადასაყვან - გადმოსაყვანად, ეკუთვნის ერთ კაცს მაჰმედოვს. ამ მდიდარ კაცის მიწაზედ დასახლებული 12 სოფელიც თხოულობს მიწის ღალის მოწესრიგებას, მაგრამ მაჰმედოვი ერთ მარცვალსაც არა სთმობს. გლეხებმა გადაწყვიტეს, მაჰმედოვს არა მისცენ რა. ანჯუმა ამაზედ თანახმა გახდა. მაჰმედოვი წავიდა თავრიზს ანჯუმის მოქმედების გასასაჩივრებლად. საქმე ის არის, რომ მაჰმედოვი რუსეთის ქვეშევრდომია. ეს გარემოება ართულებას საქმეს. დღემდე გლეხთა და მემამულეთა შორის დამოკიდებულების გამწვავებას ამისთანა შემთხვევა არა ჰქონია, რომ მემამულე სხვა სახელმწიფოს ქვეშევრდომი ყოფილიყოს.

მაჰმედოვი, მემამულის გარდა, თავრიზში დიდ მრეწველადაც ითვლება—აქვს ხალიჩების საქსოვი ქარხნები, ამასთან დიდი დამოკიდებულება აქვს თავრიზის ხანებთან, და სხვა შეძლებულ თავრიზელებთან და რუსეთის საკონსულოში აც მიღებული პირაა. ყველა ეს შეერთებული რუსეთის ქვეშევრდომობითი უფლებასთან; ანჯუმას დათანხმება გლეხების გადაწყვეტილებაზედ—არაფერი არ მისცენ მაჰმედოვს—რასაკვირველია, გაძნელდინარეობა იქიდან, რომ მაჰმედოვი სპარსეთის ქვეშევრდომი არ არის. უნდა აღვნიშნოთ ერთი სხვა გარემოებაც: მაჰმედოვს რაღაც ბნელი ძალების მოქმედებით ჩაუგდია ხელში ეს დიდი მამული. ხრული იმედი აქვთ, რომ იგი ვერ წარადგენს კანონიერ საბუთებს მიწის მფლობელობისას. ამ საქმეში ურევია რუსეთის მამხრე ახლანდელ შაჰის აღმზრდელი, რუსეთისაგან მიჩენილი, იყოვე და ამისაგან თუმცა ბ. მაჰმედოვის გამოწოსმფლობელობა. მალიან მოხერხებულადკია საქმე მოწყობილი: გამოდის, რომ საუკეთესო ადგილი სპარსეთის რუსეთთან საზღვრისა ორივე მხარე რუსეთს ეკუთვნის.

**ნადირვერდი.**

# სასამართლო

**პოლიტიკური საქმეები**

(წერილი სოხუმიდან)

მომავალ ენკენისთვეში აქ ჩამოვა ტფ. სამოსამართლო პალატის სესია სხვა და სხვა პოლიტიკურ საქმის განსახილველად. სხვათა შორის, პირველად, 17 ენკენისთვეს, განიხილავენ 1905 წლის გასულს გაგრასა და გუდაუთში სარევოლიუციო აზრით იარაღის შემოტანის საქმეს. პასუხის გებაში მიცემულნი არიან: თ. სახოკია, ი. მატახერია, ვას. ღურჯუა, სერ. ორჯონიკიძე, დ. ქუჩულორია, ვას. კანჯარია, ვლ. გოგოშიძე, ბენ. დარჩია, ის. გიგიბერია, აზნ. ერ. სასანია, პეტრე კვარაცხელია და ახმეტ ბექიროღლი. პირველი სამი სოხუმის ციხეში იმყოფებიან და ოქმი ჩაიბარეს კიდეცა, ხოლო დანარჩენ ცხრა კაცს სასამართლო ეძებს.

ამავე სესიაში გაირჩევა 1905 წლის 28 ენკენისთვეს დაბა გაგრის საკლიმატო სადგურის უფროსის შერემეტიევსკის მოკვლის საქმე. პასუხის გებაში მიცემულნი არიან: იოსებ მარუაშვილი, ილ. ჩიჩკან, აქსენტი ბენდელიანი, ილ. ბენდელიანი, ხარლ. ჭყონია, სერ. იაშვილი, ანდ. მატიტაშვილი, ივ. ჩაჩავა, ვლ. ბენდელიანი, ვარ. ორაგველიძე, სიმონ თავაძე, თეოფ. ნარსია, კონ. ცინცაძე, ფრანც ალესინკევიჩი, პორფირე მაღლაკელიძე, ივ. ივანიუშჩენკო, პანტ. კენჭია, აკ. მუჯირი, გ. კვაჭანტირაძე, დ. ვ. ნარსია, პეტრე ელიავა.

ორისავე საქმის გამო დაბარებულია მოწმედ სამას კაცზე მეტი. საქმის დაცვა მინდობილი აქვსთ ნაფიც ვექილებს: ი. ბარათაშვილს, გ. გვაზავას, კ. ჯაფარიძეს, კლანკს, გრუზენბერგს, მექი ფალავას. დამცველებადვე ჩამოვლენ პეტერბურგის ცნობილი ვექილები ლ. ანდრონიკაშვილი, გრუზენბერგი და სხვანი.

სოხუმის სასამართლო გამომძიებელმა პროხოროვიჩმა დაასრულა გამოძიება 1906 წლის შემოდგომაზე სოხუმს მახლობლად გემის „დიდი მთავარი გიორგი“-ის გაძარცვის საქმისა. ამ საქმის გამო სოხუმის ციხეში იმყოფებიან: პეტლომთათიძე, ბეს. კალანდაძე და კონსტ. გიორგაძე. ტფ. სამოსამართლო პალატის დადგენილების თანახმად, უნდა დაატუსაღონ სტუდენტი ვლად. გოგეჩია, რომელიც უკვე იყო დატუსაღებული სოხუმის ციხეში, მაგრამ [illegible] მიზეზით 10 აპრილს თავდების ქვეშ გაანთავისუფლეს.

დასრულდა გამოძიება და, ტფ. სამოსამართლო პალატის დადგენილებით, პასუხის გებაში მიცემულნი არიან სოხუმის ბურჟუაზიის თვალსაჩინო წევრნი: გვალია გიორგი, ბასტინჯოღლი (თავმჯდომარე ადგილობრივ საურთიერთო ნდობის საზოგადოებისა), ერქომაიშვილი ფილიპე, სვიმონოვი ნ. ალ., შონია დიმ., ზახაროვი ბ. ნ., ნაფიცი ვექილი, ანთელავა მიხ., ურბო ვექილი, თოფურიძე შამშე, კოტლიაროვი, ვ. ი. (ნაპოლიცმეისტრალი), ქანთურია დიმიტრი, თურქია გიორგი, კილურაძე ამბაკო და სხვანი. ამათ ბრალდებათ 1905 წელს საერთო არეულობის დროს მოსამართლეთა როლის მითვისება, ბოქაულის დატუსაღება და სხვა. როგორც ისმის, ამათ საქმესაც ტფ. პალატის სესია გაარჩევს მომავალს ენკენისთვეში.

# პროვინციის ცხოვრება

**ლანჩხუთი.** (გურია). უკვე გაცნობეთ 6 ივნისის ამბები („ისარი“ № 125) 8 ივნისს დილის მატარებლით ოზურგეთიდან მოვიდა მაზრის უფროსი და ტოლმაჩევი. ხალხს თავი მოუყარა ბოქაულის ეზოში. ხალხი სათითაოდ შეჰყავდათ ბოქაულის ოთახში და საიდუმლოდ ალაპარაკებდნენ, ვიზედ აქვთ ეჭვი და ან თუ იციან ბოქაულის თოფის მსროლელნი. და კითხვამ გასტანა დილის ათი საათიდან საღამოს რვა საათამდე. საღამოთი ხალხს უბრძანეს, ხვალ კვლავ თავი მოეყარა მეორე დილას. ხალხის დაშლის შემდეგ, საღამოს ცხრა საათზე, ცეცხლი გაუჩნდა და დაიწვა ორი სახლი — ნ. ურუშაძისა და ნ. ებრალიძის. ხალხს ძლიერ შეეშინდა, როდესაც ხედავდ აპრიალებულ ალს და ესმოდა წივილ - კივილი დაზარალებულებისა.

გათენდა ცხრა ივნისი. ხალხი შეშფოთებული ელოდა, რას გამოუცხადებდნენ. დილის ცხრა საათზე ხალხმაც თავი მოიყარა. წინანდებურად იხმობდნენ ცალკე ოთახში. ორგანიზაციის წევრნი და ისინი, რომელთაც ცოტათ თუ ბევრად მონაწილეობა მიუღიათ განმათავისუფლებელ მოძრაობაში, ყველა ის პირები, რომელნიც თქვენ გაწუხებენო, „პრიგოვორით“ უნდა გადაასახლოთ სხვა გუბერნიებშიო. მუქარამ იმოქმედა სათითაოთ შეყვანილ კაცებზე და გასცეს 52 კაცი. განაჩენის ძალით, ლანჩხუთის საზოგადოებიდან უნდა გადასახლებულ იქმნეს 52 კაცი. გადასახლებულებში ურევიან მეაფთიაქე ნ. მხეიძე, ბლადოჩინი ე. ჩხაიძე და მღვდ. დ. იმნაიშვილი. ბევრი უკვე დაიჭირეს.

**ალექსანდრე.**

**სოხუმი.** აქაურ ჟანდარმთა უფროსი პოდპოლკოვნიკი ზავარნიცკი გადაყვანილია ვლადივოსტოკის ჟანდარმთა უფროსად, ხოლო იმის ადგილზე გადმოჰყავთ ქუთაისიდან საგუბერნიო საჟანდარმო სამმართველოს ადიუტანტი კაპიტანი როდიჩი, რომელსაც ამ დღეებში მოელიან.

ქალაქის საქმეთა გამო პეტერბურგში მყოფი სოხუმის ქალაქის თავი ნ. თავდგირიძე დეპეშით იტყობინება, რომ სამინისტროს 10,000 მანეთი გადაუდვია სოხუმის საჭიროებისათვის. თითონ ქალაქის თავის ჩამოსვლას ამ თვის გასულისათვის მოველით.

ამ დღეებში ჩამოველით ელექტრო-ტეხნიკოსს ალ. ჯავახიშვილს, რომელიც უნდა შეუდგეს ქალაქში ელექტრონის სინათლის გაყვანის საქმეს.

წლეულ აქაურ საქალებო ხუთ კლასიან პროგიმნაზიის კურსი დაამთავრა 12 ქალმა. მათში 6 ქართველია, 2 აფხაზი, 2 ბერძენი და 2 რუსი. აი ქართველ ქალთა გვარები: გინწურეიშვილისა მარ., კუხალაიშვილისა მარ., მიმინოშვილისა ბარბ., ცომაიასი ვერა, ჭავჭანიძისა ალექს. და ჭითავასი ოლგა. პირველ მოწაფეთ და პირველის ხარისხის ჯილდოთი პროგიმნაზია გაათავა ვერა ცომაიას ქალმა. ხმა ისმის, მომავალ სამასწავლო წლიდან მეექვსე კლასიც გაიხსნებაო. თუ ხმა გამართლდა, სოხუმელ ხელმოკლე მშობლებთ დიდი შეღავათი მიეცემათ.

## წერილი რედაქციის მიმართ

გთხოვთ ადგილი დაუთმოთ ამ ჩვენს წერილს. სოფელ ნოვოზაიმსკის (ტობოლის გუბ.) კოლონიის ბიურომ აქ მყოფი, ადმინისტრატიულათ გადმოსახლებულ პოლიტიკურ ქართველთა სასარგებლოდ გაზეთ «წინი»-ს რედაქციისაგან 11 მარტს მიიღო 19 მ. 78 კ.. რისთვისაც მთელი კოლონიის წევრები დიდ მადლობას ვწირავთ

---

პატარა ქალაქს ტიუსკეგში, სადაც მომეტებულ ნაწილად ზანგები იყვნენ, მიმართეს ამსტრონგს, რომ მას ეჩვენებინა ისეთი კაცი, რომელსაც შესძლებოდა ეთავნა ეს საქმე. ამსტრონგმა მაშინვე ბუკერი დაასახელა. ბუკერი მიიწვიეს ტიუსკეგში, სადაც იგი იმყოფება 1881 წლიდან დღევანდლამდის.

ტიუსკეგში ჯერ სასწავლებელი არ იყო. ქალაქმა ოთხასი თუმანი გადასდო ამ საქმისთვის. ბუკერი შეუდგა შენობის ძებნას. ნახა ერთი ძველი საყდარი, სადაც უფრო ხშირად იკრიბებოდნენ ზანგები, და აქ გახსნა სკოლა. ძნელი იყო აქ სწავლება, რადგან ავდრიან დღეში შიგ წვიმა ჩამოდიოდა და ქარიც გრიალით შემოდიოდა... მოსწავლეები კი უფრო და უფრო ემატებოდნენ. ზანგები დიდი ხნის სიბნელის შემდეგ, როგორც მწყურვალენი, ისე დაეწაფნენ სწავლას. ბუკერმა ჯერ დაუწყო სწავლა თხუთმეტი წლის ყმაწვილებს, რადგან ამათ დრო ეკარგებოდათ და პატარები კი მოიცდიდნენ ერთორ წელიწადს.

ამ ხანად, ამ ქალაქის მახლობლად ერთი პლანტაცია დაიწვა. ბუკერმა თავის თავდებობით ეს ადგილი იყიდა და იქ გადაიტანა სკოლა. ამ ადგილას მარტო საჯინიბოღა გადარჩენილიყო. ამ საჯინიბოში მოათავსა ჯერ-ჯერობით სკოლა. საჭირო იყო შენობა, ფული კი არსად მოიპოვებოდა. ბუკერმა დაიწყო ფულის მოგროვება. მართავდა წარმოდგენებს, მიტინგებს, ამბობდა სიტყვებს, რომ ფული შეეწირათ. უფრო კი მეტს თითონ მუშაობდა მოსწავლეებთან ერთად. ხნავდა, სთესავდა, სწვამდა აგურს. ბევრი ჯაფა დასჭირდათ, სანამ ისწავლიდნენ აგურის დაწვას. ეხლა იქ ყოველ-წლივ მრავალ აგურს ჰყიდიან. ორმოცამდის შენობა სულ თავიანთ დამწვარ აგურით არის აშენებული.

ბუკერს კარგად ესმოდა, რომ იმისი მოძმეები განსაკუთრებულს მდგომარეობაში არიან, ამიტომ უნდოდა, რომ მისი მოსწავლენი ყოველ მხრივ ყოფილიყვნენ მომზადებულნი. გონების განვითარების გარდა ბუკერი სცდილობდა, თვითეულს ხელობა რამე შეესწავლა, რომ შესძლებოდა გამოეყენებინა ცხოვრებაში. ეხლა იმ სასწავლებელში სხვა და სხვა სახელოსნოს კარგი შემოსავალი აქვს. სკოლას ჰყავს ორი-ათას სულზედ მეტი მსხვილი ოთხფეხი საქონელი და ათასზე მეტი წვრილ-ფეხი. ოც წელიწადზე მეტი მოანდომა ბუკერმა ამ სასწავლებელს, რომ ამ გზაზე დაეყენებინა. იყო დრო, როცა ამ სასწავლებელს არა ჰქონდა გროში ფული, მაშინ, როდესაც იქ საჭირო იყო ათასობით, მაგრამ ბუკერი არა ჰკარგავდა იმედს: დადიოდა ქალაქებში, სოფლებში და სადაც კი შეიძლებოდა, ეუბნებოდა ხალხს: „უშველეთ აწევა დაჩაგრულს ხალხს; რაც უფრო ეცდებით, რომ სხვა გააპატიოსნოთ, მით უფრო თქვენ გაპატიოსნდებითო“. აძლევდნენ ვისაც რა შეეძლო. ზოგი ას თუმანს, ზოგი ორიოდე გროშს. ერთხელ ერთმა სამოცდა ათის წლის მოხუცმა დედაკაცმა მიუტანა ექვსი კვერცხი და უთხრა:

„აი, ვაშინგტონ, მე სამოცდაათი წელიწადი ვიყავი მონად, ეხლა ჩვენი ხალხი განთავისუფლდა; ბევრი შრომა უნდა, რომ ჩვენც დავადგეთ კაცობრიობის გზას; მე მესმის, თქვენ რაც გინდათ შავ-კანიანებისთვის; ღმერთმა გიშველოთ თქვენ საქმეში. მე ამ ექვსი კვერცხის მეტი არა მომეპოვება-რაო.“

ამ ჟამად სკოლა ტიუსკეგში, რომელიც პირველად საჯინიბოში იყო, წარმოადგენს ლამაზ პატარა ქალაქს. ამ სასწავლებლიდან გამოვიდნენ და გამოდიან ათასობით ბუკერის მოსწავლენი, რომელნიც ახალ ნაკადულივით ერთვიან ხალხს და მიაქვთ თან ახალი სულიერი ძალა. ბუკერი ძალიან სცდილობს აღადგინოს უფლება შავ-კანიანებისა. „მთელი საუკუნეობით სარგებლობდით თქვენისავე უმცროსს ძმების შრომით, ეუბნებოდა თეთრ-კანიანებს ბუკერი;—მთელი თქვენი სიმდიდრე შეძენილია თქვენგან დავიწყებულ ხალხის ოფლითა და სისხლით. ეხლა ეს ხალხი მარტო იმას გთხოვთ, უშველოთ გაიღვიძოს ამათ სულიერმა ღონემ. ეხლა ეს ხალხი დაცემულია და სძინავს. გააღვიძეთ, გამოაფხიზლეთ იგი“. ამ სიტყვებს ეუბნებოდა ბუკერი მრავლად შეკრებილ ხალხს გამოფენაზე ჩიკაგოში. დიდი შთაბეჭდილება მოახდინა ამ სიტყვებმა მსმენელებზედ და დიდ-ძალი შემოწირულებაც მიდიოდა ციუსკეგში.

ამასობაში ბუკერი დაუღალავად მუშაობდა და არა ზოგავდა ძალ-ღონეს სკოლისათვის. მაგრამ ღონემ უმტყუნა და ავად გახდა. მეგობრებმა მაშინვე შეუკრიფეს ფული, უყიდეს გემზედ ბილეთი და ცოლით გაისტუმრეს ევროპაში. ევროპაში ბუკერს დიდი პატივისცემით უხვდებოდნენ. უძველესმა უნივერსიტეტმა ჰარვარდში იგი აირჩია საპატიო წევრად. ბუკერის სიხარულს საზღვარი არა ჰქონდა, რადგან ამით ზანგებს გზა ეხსნებოდათ განათლებისაკენ. 1897 წ. ბუკერის სასწავლებელში მივიდა პრეზიდენტი მაკკინლეი და მინისტრები. დღესასწაულის დროს ერთმა მინისტრმა, სხვათა შორის, სთქვა, ბუკერი არის ახალი მოსე, შავკანიანების მოსე, რომელსაც მიჰყავს თავისი ხალხი ქანაანში.

აი, ასეთი კაცია მოსე ზანგებისა, ბუკერ ვაშინგტონი.

**ქიტო.**

ყველა იმათ, ვინც გაიღო ეს ფული. ჩვენ, ამავე კოლონიის წევრები, უღრმეს მადლობას ვუცხადებთ ჟენევას ქართველთა კოლონიას, რომლისაგანაც ჩვენმა ბიურომ ხსენებულ ქართველების სასარგებლოდ მიიღო 70 მ. 48 კ., აგრეთვე გულითად მადლობას მუძღვნით ამხანაგ პეტრე დგებუაძეს, რომელმაც ჩვენის პატარა ბიბლიოთეკის გასაძლიერებლად გამოგზავნა 87 ცალი პერიოდიულ გამოცემები, 29 ცალი ქართული, დანარჩენი რუსული.

ამხანაგების მინდობილობით **ი. ნორაკიძე.**

# დეპეშა

(პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან)

16 ივნისი

**ტვერი.** ტვერის მაზრის სოფელ ბელიაკუშალსკაში 10 ივნისს გაიხსნა იარმუკა. ურიადნიკმა ლუდის იდუმალი გაყიდვა აღმოაჩინა, ვაჭრობა აუკრძალა და ლუდის წართმევა მოინდომა. ხალხმა წინააღმდეგობა გაუწია და ურიადნიკს ქვებიც დაუშინა. ურიადნიკმა და სამძა სტრაჟნიკმა სროლა ასტეხეს, ერთ მახლობელ მემამულეს სახლში თავი შეაფარეს და იქიდან ამბავი ტვერში აცნობეს. ერთი სტრაჟნიკი ხელში დაიჭრა. ხალხთაგან სამი კაცია დაჭრილი, ერთი მათგანი მძიმედ. სოფ. ბელიში დრაგუნთა ერთი ესკადრონი გაგზავნეს, რომელიც მეორე დღეს უკან დაბრუნდა.

**მინსკი.** ლიბავო-რომენის რკინის გზის უფროსმა გამოაცხადა, რომ სრულიად რუსეთის რკინის გზებზე მოსამსახურეთა კავშირი უკანონოა და ამიტომ აკრძალულია. რკინის გზის მოხელეთა, მუშათა და ხელოსანთა და კავშირში მონაწილეობის მიღება შეუძლებელია. კავშირის წევრი არა თუ დაუყოვნებლივ სამსახურიდან დაითხოვენ, პასუხის გებაშიაც მისცემენო.

**კიევი.** რადომისლის მაზრის სოფ. გუბინაში ცეცხლმა 108 სახლი იმსხვერპლა.

**ლოძი.** როგორც ოზორკოვიდან იუწყებიან, 14 ივნისს დაიხურა შლესერის ბამბეულის ფაბრიკა, სადაც 2000 კაცი მუშაობდა.

რიხტერის ფაბრიკის მუშათა ერთი ნაწილი გაიფიცა და ამიტომ 14 ივნისს ფაბრიკა დაიხურა; 400 მუშას ანგარიში გაუსწორეს.

**სიმფეროპოლი.** დასჭრეს პოლიციელი. ხალხი და პოლიცია დაედევნა, მათ კი სროლა ასტეხეს და მეორე პოლიციელიც დასჭრეს, მოჰკლეს უბნის ზედამხედველი და ერთ სახლის სხვენში მიიმალნენ. მოვიდა ჯარი და არტილერია. სახლს სროლა აუტეხეს. ორივე უცნობი მოჰკლეს.

**ვენა.** დეპუტატთა პალატამ ერთხმად დაავალა პრეზიდიუმს, გამოუცხადოს იმპერატორს ღრმა მადლობა საარჩევნო რეფორმისა და სიტყვისათვის და განუცხადოს გრძნობანი ერთგულობისა. მინისტრ-პრეზიდენტმა ბეკმა თავისს სიტყვაში აღნიშნა, რომ საარჩევნო რეფორმა ავსტრიაში მოხდა ისეთ პირობებში, როცა როგორც შიგნით, ისე გარედ სრული მშვიდობიანობა იყო, არჩევნების შედეგმა ნათლად დაანახვა ყველას, რომ ერთნაირად გადაჭარბებული ყოფილა შიში, როგორც რეაქციისა ისე უკიდურეს რადიკალიზმისა. მინისტრის აზრით, უკეთესია სოციალისტები იყვნენ პალატის შიგნით, ვიდრე პალატის გარედ, მთავრობა ყოველ ღონეს იღონებს, რომ განახორციელოს არსებითი სოციალური რეფორმა. იმისი დევიზია სრული თანასწორობა კერძო პირებისა და ერებისა და თანასწორობა ყველასი წინაშე კანონისა. ამასთანავე ყოველი მოქალაქე უნდა ხელს უწყობდეს სახელმწიფოს ძირითად საფუძვლის განმტკიცებას, იმის მორალურ და მატერიალურ ძალის გადიდებასაო. მინისტრის სიტყვას მლიერის ტაშის ცემით მიეგებნენ.

**ლოძი.** გრომანის ბამბეულის მანუფაქტურის ადმინისტრაციამ განცხადებანი გამოაკრა, სადაც ნათქვამია, რომ სადურგლო განყოფილების მუშებმა მოქმედებით შეურაცყოფა მიაყენეს განყოფილების გამგეს, როდესაც მან სხვა ფაბრიკიდან ხელფასის მომატების შესახებ მოსალაპარაკებლად მოსული დელეგატები არ შემოუშვა. ამიტომ დაუყოვნებლივ უნდა დასტოვონ სამუდამოდ ფაბრიკის სადგომი; წინააღმდეგ შემთხვევაში ფაბრიკა სრულიად დაიხურებაო.

15 ივნისს ბაღში მოჰკლეს საკერავ მანქანის სავაჭროს აგენტი. იმავ დღეს მოჰკლეს ერთი მეწაღე, დასჭრეს ვიღაც მიმავალი.

**გროდნო.** ბელოსტოკის მახლობლად «ზვერინეც»-ის ტყეში ვიღაც უცნობებმა დასჭრეს ორი ებრაელი ჯარის კაცი და ერთი მოქალაქე.

**ეკატერინოსლავი.** ღამე ხუთმა კაცმა ქუჩაში გაძარცვა ექიმი ... დიზენშტადტი.

**პეტერბურგი.** გზათა სამინისტროში შესდგა ცალკე კომისია, რომელმაც უნდა შეიმუშაოს პროექტი რკინის გზის მოხელეთა, მუშათა და ხელოსანთა სავალდებულო დაზღვევის შესახებ.

**მოსკოვი.** 15 ივნისს, ნაშუადღევის ხუთ საათზე, გარდაიცვალა პირველ სათათბიროს დეპუტატი გრაფი პეტრე ალექსანდრეს ძე გეიდენი.

საერობო კრების ბოლო სხდომა ცოტა გვიან გაიხსნა. ზოგიერთი წევრები უკვე გაიფანტნენ, სხდომას დაესწრო მხოლოდ 80 კაცი. თავჯდომარეობდა როძიანკო. წაიკითხეს 57 წევრის მიერ შეტანილი განცხადება, რომ საეროზოს რეფორმა არ განისაზღვროს მარტო საერობო საარჩევნო კანონის შეცვლით, არამედ შეეხოს მთლად საერობო ძირითად წეს-რიგის შეცვლას, თანახმად დეცენტრალიზაციის და ადგილობრივ თვითმართველობის უფლებათა გაფართოვების პრინციპისა. კრებამ საბჭოს დაავალა შეიმუშაოს მეორე კრებისთვის რეფორმის ტეზისები.

**ვილნა.** განაპირა ქვეყნის რუსთა კავშირის ინიციატორობით მოხდა ვილნოს რაიონის რუს ამომრჩეველთა კრება. აირჩიეს დროებითი კომიტეტი. დაადგინეს გადაუხადონ ხელმწიფეს მადლობა და ერთგული ქვეშევრდომობა გამოუცხადონ ვილნოს გუბერნიის რუსთათვის სათათბიროში ცალკე დეპუტატის გაგზავნის უფლების მინიჭებისათვის.

**სევასტოპოლი.** 14 ივნისს ღამე ეკატერინის ქუჩაზე გრიცენკოს სახლს ყუმბარა ესროლეს, რომელიც სამინლად აფეთქდა. სასიკვდილოდ დაიჭრა გურეცკი, მძიმედ—კალაჩოვი. ყუმბარის გადამგდები ერმოლენკო მოჰკლეს.

**ჩერნიგოვი.** ნეჟინის მაზრის სოფ. ველიკაია კობელევკაში მოჰკლეს ურიადნიკი.

**ხოსნოვკიცი.** კონსტანტინოვკაში მოჰკლეს საერობო დარაჯი.

**თეირანი.** 14 ივნისს მეჯლისმა დაადგინა, დათხოვნილ იქმნას თანამდებობიდან შაჰის ბიძა, სამხედრო მინისტრი.

**მოგილოვი.** 13 ივნისს ბიხოვის მაზრის სოფ. ზაპოტოჩიეს მცხოვრები გლეხები რიცხვით 600 კაცი, ზოგი ფანდით, ზოგი ცულით და ზოგიც სარით შეიარაღებული მივარდა მაზრის უფროსს, სტრაჟნიკებს და სოფ. ოლენკოს მცხოვრებ გლეხებს, რომელნიც წისქვილის გარღვეულ გუბის კედელს აკეთებდნენ. ზაპოტოჩინელებს უფიქრნიათ, რომ გუბის კედლის გაკეთების შემდეგ წისქვილი ოლენინის მცხოვრებთა საკუთრებად გადაიქცევაო. შეკეთების დროს წინააღმდეგობა გაუწიეს. მაზრის უფროსი ცოტად დაშავდა, ერთი სტრაჟნიკი მძიმედ დაიჭრა და სამი მსუბუქად. მოკლულია ერთი გლეხი, და დაჭრილი სამი, არიან მსუბუქად დაჭრილებიც. წეს-რიგი აღადგინეს.

**ოდესა.** 15 ივნისს შუადღისას გაზის ქარხნის მახლობლად ვიღაც ახალგაზდები თავს დაესხნენ რუსის სანაოსნო საზოგადოების უფროს ექიმს პოპოვს და დანით დასჭრეს. ექიმი გაიქცა. ბოროტმოქმედნი დაედევნენ, დაეწივნენ და მოჰკლეს. ბოროტმოქმედნი დაიჭირეს. ისინი რუსის სანაოსნო საზოგადოების სახელოსნოს მუშები აღმოჩნდნენ.

**პეტერბურგი.** საერო განათლების სამინისტროს სურს შეიმუშაოს ისეთი წესი, რომლის ძალითაც მსურველთ ნება ექნებათ დაარსონ საშუალო სასწავლებელთა მხოლოდ 4 უფროსი კლასი.

**სევასტოპოლი.** საპატიმროს გარეთა კედელი ჯოჯოხეთის მანქანით გამოანგრიეს. გაიქცა 120 პოლიტიკური ტუსაღი. სასიკვდილოდ დასჭრეს მოდარაჯე სალდათი, რომელიც ეზოში იდგა.

**ელისავეტოგრადი.** ირკუტკის სამექანიკო ქარხნიდან დათხოვნილმა მუშამ განიზრახა ქარხნის დირექტორის კრიჟანოვსკის მოკვლა, მაგრამ დროით შენიშნა პოლიციელმა და დააპატიმრა.

**ჩერნიგოვი.** ბორზნის მაზრის სოფ. სივოლოჟაში გაქურდეს სახაზინო საარყე დუქანი. მოჰკლეს არყის გამყიდველი.

რედაქტორ-გამომცემელი **ე. ავალიშვილი.**

# განცხადებანი

## აუქციონი ამიერ-კავკასიის სახაზინო რკინის გზების

გამგეობა აცხადებს, რომ ამა წლის 27 ივნისს, დილის 9 საათზე, ნავთლუღის სადგურზე, ნავთის მილის შენობის საწყობში, დანიშნულია სააუქციო გაყიდვა ქონებისა, რომელიც ხმარებაში იყო, სახელდობრ: ხის საცხოვრებელ შენობებისა, სახელოსნოებისა, საწყობისა, სარაიებისა, დასაშლელ და გადასატან ბარაკებისა და სხვა საქონლისა და ინვენტარისა.

დაწვრილებითი პირობები აუქციონისა და აწერილობა გასასყიდად დანიშნულ ნივთებისა მსურველს შეუძლიან ნახოს ყოველ დღე, კვირაუქმეებს გარდა, 12-დან 2 საათამდე: 1. ნავთის მილის საამშენებლო კანტორაში, ტფილისი, ელისაბედის ქ., № 99 და 2; 2. ბაქოს, განჯის და ბათუმის სადგურების უფროსებთან.

(3—ნ.—1)

# კლინიკა

კბილის ავადმყოფობისა

## ლ. შტრეიხერისა

**კბილის საექიმო სკოლასთან**

ერევნის მოედანი (პუშკინის ქ. 3).

ავადმყოფების მიღება დილის 9-დან საღამოს 7 საათამდე. კვირაობით 9-დან 1 საათამდე.

ფასი მკურნალობისა:

| | |
|---|---|
| საექიმო რჩევა საზოგადოდ | 20 კ. |
| ერთი კბილის ან ძირის ამოღება | 20 „ |
| კბილის გაწმენდა | 50 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც | |
| პლომბა გუდაპერჩისა | 50 „ |
| „ „ ცემენტისა | 1 მ. |
| „ „ მეტალიური | 1 „ |
| „ „ ვერცხლისა ამალგამა | 1 „ 50 „ |
| „ „ ემალისა | 1 „ 50 „ |
| „ „ ფაი ფურისა | 3 „ |
| „ „ არის უფრო ძვირიც 5 მან.-მდე. | |
| „ „ წმინდა ოქროსი | 3 „ |
| „ „ უფრო ძვირიც. | |
| ხელოვნ. კბილები კაუჩუკზე 1 კბილი: | |
| „ „ დიოტორიტიული | 1 „ |
| „ „ კრამპონისა | 1 „ 50 „ |
| ხელოვ. კბილ. კაუჩუკზე ოქროს კავებით: | |
| „ „ თითო კავი | 1 „ |
| შტიფტის კბილები ოქროზე | 3 „ |
| კორონკა ლოგანისა | 4 „ |
| კორონკა ოქროსი ან პლატინისა პირობისამებრ | |
| ამოღება კბილისა უტკივილო ანესტეზიით | 1 „ |
| საზოგადო ანესტეზიით—პირობისამებრ | |
| აპარატი კბილების გასასწორებლად | |
| ობტურატორი მაგარ ან რბილ სასის შესავსებად—პირობისამებრ. | |
| და სხვა ოპერაციები—პირობისამებრ. | |

(100—ბუხ.—4)

**მხოლოდ** იმის წყალობით, რომ 25 წლის პრაქტიკა მქონდა და თვალყურს ვადევნებდი, უმაღლესს კულტურამდე განვავითარე **კეფირი**. ყველას შეუძლიან დარწმუნდეს, რომ

# კეფირი ო. კორონისა

კონკურენციის გარეშეა. კარგის თვისებისთვის იგი მოწონებულია ტფილისის სამკურნალო განყოფილებისაგან და დაჯილდოვებული სამის მედალით სამს გამოფენაზე. მიღებული აქვს აგრეთვე მრავალი მადლობა მომხმარებელთაგან. **კეფირი** ჩემის სახელოსნოსი უმატებს სიმძამეს და გამოლეულ ძალას, აგრეთვე მკურნალობს: სისხლნაკლებობის, კუჭის კატარის, სიყვითლის, სურავანდის და ჭლექის დროს. ამშვიდებს ნერვებსაც.

ჩემ დაწესებულებაში შეიძლება მსურველმა მიიღოს

ლაქტობაცილინის რძე,

მომზადებული პროფ. მეჩნიკოვის საშუალებით.

5 აპრილიდან მზადდება

**კუმისი**

მსურველთ შეიძლება სახლში გაეგზავნოთ. ადრესი: ლორის-მელიქოვის ქ., სემინარიის პირდაპირ.

(50—ხალ.—31) პატივ. **ო. კორონა.**



1—2 მან. აიღებს მსურველი დღეში.

# საქიროდ

**თანამშრომელნი ორისა ვე სქესისა**

საქსოვ სამუშაოსთვის ჩვენ მსწრაფლ-მქსოველ მანქანებზე. რისამე წინდაწინვე ცოდნა საჭირო არ არის. მანძილს მნიშვნელობა არა აქვს. საქონელს ჩვენ თვითონ ვყიდით. პირობებს უფასოდ უგზავნით.

**პირველი კავკას. ამხანაგობა**

მსწრაფლ-მქსოვ მაშინებისა შინაურ წარმოებისთვის.

ადრესი: Тифлисъ, Верійскій спускъ д. 15 и 5. (100—71—32)

საბურთალოზე

მაკაროვის მამულის გვერდით

# იყიდება დიდი ბაღი

ნაჭრ ბად, თითო ნაჭერი 250—300 ოთხკუთხ საჟენამდის. პირობების გაგება შეიძლება ვერაზე, წყნეთის ქუჩაზე, № 2, სანდრო მინდიაშვილთან. (2—14—2)

პირველი კერძო სამკურნალო

# დოქ. ნავასარდიანისა

დაარსებულია 1880 წ.

(ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).

ყოველ დღე—კვირაობით გარდა.

**ექიმები:**

**ზ. ა. ნავასარდიანი:** 11—12 ს. ქირურგ. ვენერიული (სიფილისი) და საშარდე.

**გ. მ. ჩიქოვანი:** 9½—10 ს. თვალისა, შინაგან და ნერვებისა.

**ფ. ი. ზაბანაძევი:** 10—11 ს. საბებიო, ქალებისა და ბავშვების.

**მ. გ. ავეტისიანცი:** 11—12 ს. კანისა, სიფილისი, ვენერ. და ქირურგ.

**ა. მ. პუგინოვი:** 12—1 ს. შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა.

**გ. ი. გმელიშვილი:** 1—2 ს. ყურისა, ცხვირისა და ყელისა.

**ა. ე. კარაპეტიანცი:** 1—1½ ს. შინაგანი და საბავშვო.

**ა. ი. შჩერბინინა:** 1½—2 საათამ. საბებიო და ქალებისა.

**გ. ი. გურგენოვი:** 1—2 საათ. ქალებისა და საბებიო.

რჩევა 50 კ. ღარიბებს უფასოდ. კონსულტაციები და ოპერაციები შეთანხმებით. სამკურნალოს დირექტორი

მედიც. დოქტორი **ზ. ა. ნავასარდიანი.**

(150—ხალ.—95)

კურსები კავკასიაში.

ერთად ერთი

ვაჭრობისა და მრეწველობის სამინისტროს განკარგულებაში მყოფი

ბუხჰალტერიისა და საკანტორო ცოდნის კურსები

# გ. ა. პირაპოზოვისა

(ბათუმი, მორსკაია № 11)

ამ კურსებზე ორისავე სქესის მოსწავლენი იძენენ საკომერციო მეცნიერების საგანთა სრულ სპეციალურ ცოდნას. კურსებზე ასწავლიან: ბუხჰალტერიას: სამმაგ და ორმაგ. იტალ., სარკინისგზო ანგარიშს და საკითს საქონლის გადატან-გადმოტანის შესახებ, საკომერციო არითმეტიკას, საკომ. ეკონომიას, საკომ. კორესპონდენციას, საკომ. კანონთ ცოდნას, საკომ. გეოგრაფიას და ისტორიას, არითმეტიკას ჩოთქზე, კალიგრაფიას, სტენოგრაფიას და წერას მაშინაზე.

კურსებთან არის: მცირედ მომზადებულთათვის კურსები რუსულ ენისა, არითმეტიკისა და სხ., კურსები უცხო ენებისა და ხელმისაწვდენი პანსიონი. სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ცნობები და პროგრამა კურსებისა—უფასოდ. მსურველთა და თხოვნების მიღება ყოველ დღე 8—1 ს. და 4—7 ს. კურსების კანცელარიაში განზრახულია უმაღლესი საკომერციო კურსები.

(10—124—4)

ცნობის სისტემის კონფერენცია

რუსულ თვით-შემმოწმებულ ბუხჰალტ

# გაფრთხილება

**სავაჭრო სახლის**

# ნ. ი. ბოზარჯიანცის და შვ.

თამბაქოს ქარხნისაგან (არსებობს 1858 წლ. ტფილისში)

რადგან დღემდე კიდევ სარგებლობენ ჩვენის პაპიროსების „სიმპატია“ 10 ცალი 5 კაპ. და № 8—10 ც 5 კაპ., აგრეთვე № 7/16—10 ც. 3 კ. სახელით და ჰყიდიან ყალბ პაპიროსებს, უმორჩილესად ვთხოვთ თამბაქოს მომწევთ, ყურადღება მიაქციონ ჩვენ საქარხნო მარკას

და გვარს **ნ. ი. ბოზარჯიანც და შვ.**

ყალბ პაპიროზის დამზადებელთა წინააღმდეგ სასამართლოს მივმართავთ.

(10—130—4)



# ფეხსაცმელი

პეტერბურგის სამექანიკო წარმოების ამხანაგობისა,

შეკერილი, რანტიანი და ვინტებზე. მკვიდრი, კოხტა და მსუბუქი ყოველ ფასონისა.

**რანტიანი:** პარიზისა (მოგრძო) და ამერიკის ფასონებისა.

**იყიდება ტფილისსა და ამიერ-კავკასიის მაღაზიებში.**

რადგან ხშირად სხვები თავიანთ ცუდ საქონელს ჩვენად აღიარებენ, ფაბრიკა უმორჩილესად სთხოვს ბ-ნთ მყიდველებს ყურადღება მიაქციონ ფაბრიკის ნიშანს და სახელმწიფო გერბს (არწივს)

ФАБРИЧНОЕ КЛЕЙМО

С.ПЕТЕРБУРГЪ

ნარდათ შეკვეთილ ამ ფეხსაცმელს ამზადებს

# სავაჭრო სახლი „ლეოპოლდ ნეიმელლერი“

ტელეფონი № 346, **ტფილისში,** ერევნის მოედანი,

**რომლის საწყობშიაც არის დიდი ძალი**

**ტყავის საქონელი** რუსეთისა და საზღვარ-გარედ დამზადებული. (100—34)